ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ცირა შუბითიძე – კოლეგიის თავმჯდომარე

გიორგი ბეგიაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ე. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.01.2013

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 014/13

საჩივარი შემოტანილია– ადვოკატ ბ. გ.-ს მიმართ / სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ბ. გ.-თვის ,,დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება; თანხის დაბრუნების დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2013 წლის 30 იანვარს ე. ბ.-მ მომართა სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ბ. გ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და თანხის დაბრუნების დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2012 წლის 22 ნოემბერს გააფორმა რწმუნებულება ადვოკატ ბ. გ.-თან. შეთანხმების თანახმად, ადვოკატს საჯარო რეესტრიდან უნდა

გამოეთხოვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ორი დოკუმენტი, შემდეგ სარჩელი უნდა შეეტანა სასამართლოში ან პროკუ

1.3 რატურაში შეეტანა საჩივარი დოკუმენტების გაყალბების ფაქტზე. ადვოკატმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი სოციალურად დაუცველია და ადვოკატის უმოქმედობის შედეგად შვილებთან ერთად ბინიდან გამოასახლეს.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის 2002 წლის ოქტომბერში გამოასახლეს ბინიდან და სურდა, რომ მამის სახლში დაბრუნებულიყო საცხოვრებლად, თუმცა ძმამ უარი განუცხადა. საჩივრის ავტორის ინფორმაციით, მისმა ძმამ გაყალბებული დოკუმენტების საფუძველზე გაასხვისა ბინა, მდებარე X მისამართზე, ქონება, რომლის თანამესაკუთრე საჩივრის ავტორიც იყო. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ბ. გ.-მ აცნობა მას, რომ დოკუმენტები „მაფიოზა“ ნოტარიუსმა გააყალბა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმის წარმოების ხარჯების დაფარვის მიზნით ადვოკატს გადასცა 200 (ორასი) ლარი. მას შემდეგ რაც უკმაყოფილო იყო ადვოკატის მომსახურებით, მოსთხოვა ამ თანხის და გადაცემული დოკუმენტების სრულად დაბრუნება. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან დოკუმენტები დიდი ძალისხმევის შედეგად დაიბრუნა. თანხასთან დაკავშირებით კი ადვოკატმა განუცხადა, რომ 190 (ას ოთხმოცდაათი) ლარი დახარჯა ტაქსებით სიარულში.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ბ. გ.-ს თაღლით ნოტარიუსებთან აქვს კავშირი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ბ. გ.-მ 2013 წლის 15 თებერვალს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად, მას ე. ბ.-სთან გაფორმებული რწმუნებულების საფუძველზე უნდა გამოეთხოვა დოკუმენტი საჯარო რეესტრიდან და ტექბიუროს არქივიდან-საბინაო წიგნის ამონაწერი.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მან შეასრულა საადვოკატო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, შეისწავლა საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც საჩივრის ავტორს განუმარტა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და აუხსნა, რომ მას არ ეკუთვნოდა სამემკვიდრეო წილი უძრავი ქონებიდან, მდებარე X მისამართზე.

2.3 ადვოკატის განცხადებით, მან კეთილსინდისიერად და გულისხმიერად შეასრულა საადვოკატო მომსახურეობა, საჩივრის ავტორს გადასცა საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი დოკუმენტაცია. ადვოკატის განმარტებით, მას არ ევალებოდა სარჩელის სასამართლოში ან საჩივრის პროკურატურაში შეტანა, რადგან ამის შესახებ შეთანხმება მასსა და კლიენტს შორის არ არსებობდა.

2.4 ადვოკატის განცხადებით, ე. ბ. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე 2012 წელს გახდა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზემოსურებში მდებარე საცხოვრებელი სახლის ¼

წილის მემკვიდრე. საჩივრის ავტორმა მას განუცხადა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას ვერ აღასრულებდა და სურდა, რომ ძმის წინააღმდგ შეეტანა საჩივარი პროკურატურაში.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მან უარი განუცხადა საჩივრის ავტორს ჩოხატაურში ჩასვლაზე იმ მიზეზით, რომ ის რაიონებში არ დადის და ე. ბ.-ს ურჩია, რომ დაკავშირებოდა ჩოხატაურში მცხოვრებ ადვოკატს, რომელიც მონაწილეობას იღებდა საქმის განხილვაში და ის დაეხმარებოდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაში. ადვოკატის განმარტებით, მას არანაირი კავშირი არ ჰქონია ამ სასამართლო გადაწყვეტილებასთან.

2.6 ადვოკატის განცხადებით, საჩივარში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები სიმართლეს არ შეესაბამება და საჩივრის ავტორი ცრუობს. კერძოდ, ე. ბ.-ის ძმა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე არ გამხდარა საცხოვრებელი სახლის მესაკუთრე, რაც დასტურდება ადვოკატის მიერ საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი დოკუმენტით.

2.7 ადვოკატის განმარტებით, ე. ბ.-მ თავისი ინიციატივით გადასცა მას თანხა 200 (ორასი) ლარი მგზავრობის ხარჯების დასაფარად. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი მასთან მივიდა სახლში მუქარით და თანხის დაბრუნებას სთხოვდა. შემდეგ ნ. კ.-ს და მ. კ.-ის მეშვეობით მოსთხოვა თანხის დაბრუნება. ადვოკატის განმარტებით, ის მხოლოდ მოწმეების თანდასწრებით დაუბრუნებს საჩივრის ავტორს გადაცემული თანხის ნაწილს, რადგან დანარჩენი ტაქსებით მგზავრობაში და საჯარო რეესტრიდან დოკუმენტების გამოთხოვაში დახარჯა.

2.8 ადვოკატის განმარტებით, მას ნოტარიუსისთვის „მაფიოზა“ არ უწოდებია, რადგან მას საერთოდ არ იცნობს. ადვოკატის განცხადებით, ე. ბ. ცრუობს, როდესაც აცხადებს, რომ ადვოკატი შეკრულია თაღლით ნოტარიუსებთან.

2.9 ადვოკატის განცხადებით, ე. ბ.-ს 3-ჯერ გაჰყვა პოლიციაში მის საქმესთან დაკავშირებით. კერძოდ, საჩივრის ავტორი დაქირავებული ფართის სარდაფიდან ვერ ახერხებდა თავისი ნივთების გამოტანას, რადგან ამაში ხელს უშლიდა ფართის გამქირავებელი. ადვოკატის განმარტებით, მან მხარეები მოარიგა და მეორე დღეს უბნის ინსპექტორთან ერთად დაესწრო სარდაფის კარის გახსნას და საჩივრის ავტორს ანაზღაურების გარეშე დაეხმარა.

2.10 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორის გამოსახლებაში ბრალი არ მიუძღვის. გამოსახლების შესახებ შედგა ოქმი, გამოსახლების გამო ე. ბ. პოლიციაში „წიოკობდა“. ადვოკატის განმარტებით, ე. ბ.-თან შეხვედრების დროს მას თან ახლდა მ. კ.. ადვოკატის განცხადებით, მ. კ.-ის ჩვენება საქმისთვის მნიშვნელობის მქონეა და ამიტომ შუამდგომლობს, რომ ეთიკის კომისიამ დაკითხოს ის.

2.11 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა სხვა ადამიანის მეშვეობით მიაწოდა ინფორმაცია, რომ თუ თანხას დაუბრუნებდა, საჩივარს აღარ შეიტანდა ეთიკის კომისიაში. ადვოკატი აცხადებს, რომ: ,,საჩივრის ავტორი არის მატყუარა, ინტრიგანი, უნამუსო ქალი, უწიგნური და ავანტიურისტი.“

2.12 2013 წლის 03 ივლისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ საჩივრის ავტორს კვალიფიციური მომსახურება გაუწია და სხვა საქმეშიც დაეხმარა უანგაროდ, ამიტომ განაწყენდა, როცა ე. ბ.-მ საჩივარი შემოიტანა ეთიკის კომისიაში.

ადვოკატის განცხადებით, აცნობიერებს იმ გარემოებას, რომ როგორც ადვოკატს არ უნდა გამოეყენებინა ასეთი ეპითეტები და ბოდიშს იხდის დისციპლინურ კოლეგიასთან, რადგან ასეთი სიტყვები არ უნდა ეწოდებინა საჩივრის ავტორისათვის არც სხდომაზე და არც წერილობით ახსნა-განმარტებაში.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია:

3.1 2013 წლის 19 მარტს მეორე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ბ. გ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 მეორე საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატ ბ. გ.-ს მიერ საჩივრის ავტორის მისამართით ნათქვამი სიტყვები: ,,საჩივრის ავტორი არის მატყუარა, ინტრიგანი, უნამუსო ქალი, უწიგნური და ავანტიურისტი,'' არის შეურაცხმყოფელი, შეიძლება დარღვეულად ჩათვლილიყო ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

3.3 დისციპლინური დევნის აღმძვრელმა საპროცესო კოლეგიამ მიუთითა, რომ ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოების მონაწილე პირებს საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისას, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფატობრივი გარემოებები:

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდაო ფაქტობრივი გარემოება:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოება:

ადვოკატმა ბ. გ.-მა ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში საჩივრის ავტორი მოიხსენია შემდეგი სიტყვებით: ,,საჩივრის ავტორი არის მატყუარა, ინტრიგანი, უნამუსო ქალი, უწიგნური და ავანტიურისტი."

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ ბ. გ.-ს 2013 წლის 15 თებერვლის ახსნა-განმარტება (ს.ფ. 13-27)
2. ეთიკის კომისიის 2013 წლის 03 ივლისის განხილვის სხდომის ოქმი (ს.ფ. 83)

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ბ. გ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ბ. გ.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

6.1.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.“

6.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.“

6.2 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ იზიარებს საპროცესო კოლეგიის 2013 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებაში მითითებულ ადვოკატის ქმედების სამართლებრივ შეფასებას.

6.3 ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან.

6.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №075/10, დაადგინა: „ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე სასამართლო დარბაზის გარეთ, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს.“

6.5 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

6.6 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი განმარტავს, რომ „ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულრებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას.“ შესაბამისად, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დაცვა ასევე სავალდებულოა ადვოკატისათვის სასამართლოს მსგავსი ფუნქციის განმახორციელებელ ორგანოში საქმის წარმოებისას.

6.7 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 03 მარტის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №025/12, დაადგინა: „ეთიკის კომისია წარმოადგენს კვაზი სასამართლოს, ახორციელებს სასამართლოს მსგავს ფუნქციას და ადვოკატს, როგორც სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვა ევალება, იგივე ვალდებულება აქვს ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოებისას. ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეთა უფლებები. ეთიკის კომისიას შესაძლებლად მიაჩნია, ადვოკატს მოეთხოვოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეებთან ურთიერთობის მაღალი და დახვეწილი სტანდარტი, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც საჩივრის ავტორი პოზიციას ემოციურად გამოხატავს.“

6.8 2012 წლის 15 თებერვალს ეთიკის კომისიაში წერილობით წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის მოხსენიება შემდეგი სიტყვებით: „მატყუარა, ინტრიგანი, უნამუსო ქალი, უწიგნური და ავანტიურისტი“ არის შეურაცხმყოფელი, რადგან ლახავს ადამიანის ღირსებას. წერილობითი ახსნა-განმარტების წარმოდგენის დროს ადვოკატს შეეძლო საკუთარი პოზიცია დაფიქსირებინა ისე, რომ არ გამოეყენებინა ზემოთაღნიშნული სიტყვები და საჩივრის ავტორის პრეტენზიებზე სხვა ფორმით გაეცა პასუხი, მით უმეტეს, როცა საჩივრის ავტორის მოხსენიება შეურაცხმყოფელი ეპითეტებით ადვოკატს არ სჭირდებოდა დაცვის პოზიციის წარმოსადგენად და დასასაბუთებლად.

6.9 განხილვის კოლეგია მიუთითებს, რომ ეთიკის კომისიაში მიმდინარე საქმისწარმოებისას პროცესის მონაწილე მხარის შეურაცხყოფა შეიძლება ასევე შეფასდეს, როგორც ეთიკის კომისიის შეურაცხყოფა, ისევე, როგორც სასამართლოში შეუფერებელი ქცევა და მხარის შეურაცხყოფა მიიჩნევა სასამართლოს შეურაცხყოფად და სწორედ ამიტომ იღებს სასამართლო შესაბამის ზომებს წესრიგის დამრღვევი პირის მიმართ.

6.10 განხილვის კოლეგია მიუთითებს, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ადვოკატის დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედების მიმართ და მისი მიდგომა საკითხისადმი, ადვოკატის განცხადება განხილვის კოლეგიის სხდომაზე, რომ 2013 წლის 15 თებერვლის ახსნა-განმარტების წერისას ემოციებს აჰყვა და ამის ფონზე გააკეთა შეფასებები. ადვოკატის განცხადებით, იგი აცნობიერებს იმ გარემოებას, რომ როგორც ადვოკატს არ უნდა გამოეყენებინა ზემოთაღნიშნული ეპითეტები თავისი ყოფილი კლიენტის მიმართ. ამასთან, ადვოკატმა ჩადენილი ქმედების გამო ბოდიში მოიხადა დისციპლინურ კოლეგიასთან.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით; 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი და მე–4 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ბ. გ.-ს მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. ადვოკატ ბ. გ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (ქ. თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: /ცირა შუბითიძე/

კომისიის წევრი: /გიორგი ბეგიაშვილი/

კომისიის წევრი: /ირაკლი კორძახია/